იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში

№12

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №12

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

თბილისი
2024

კვლევის ხელმძღვანელი: ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: ნინო ნოზაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

მეთოდოლოგია 4

მიგნებები 5

1. ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების პროგრესი პოლიტიკურ კონტექსტში 7

2. იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება – გამოწვევები 10

2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა 11

3. სისტემის შევსების პრივილეგია – გავლენიანი ჯგუფის კიდევ ერთი ბერკეტი 14

3.1. მოსამართლეების დანიშვნა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში 14

3.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენები მოსამართლეების სისტემაში შესვლის პროცესზე - პრაქტიკაში არსებული გამოწვევები 15

3.3. პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნა 17

3.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნა 17

3.5. კონკურსის წესით სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ დანიშვნა 19

3.6. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა 19

3.7. მოსამართლეთა მივლინება 20

4. ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეები 22

4.1. თავმჯდომარეების როლი და გავლენები 22

5. დისციპლინური სამართალწარმოება 24

5.1. საკანონმდებლო ხარვეზები - დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა 24

5.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები 25

5.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები 25

5.4. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა 26

6. გამჭვირვალობის პრობლემურობა საბჭოში 28

6.1. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება 28

6.2. სხდომების მომზადება 30

6.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხდომების მართვა 31

6.4. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება 31

რეკომენდაციები 34

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და სუბიექტები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - საბჭო) საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციური ორგანოა.[1] მისი ფუნქციაა სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა დანიშვნა-გათავისუფლება, ასევე, სხვა ამოცანების შესრულება.[2] საბჭო, ფაქტობრივად, სრულად მართავს საერთო სასამართლოების სისტემას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - საია) 2012 წლიდან ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მონიტორინგს და ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშებს, რომლებიც საჯაროა და ხელმისაწვდომია საიას ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gyla.ge). წარმოგიდგენთ №12 ანგარიშს, რომლის მიზანია სისტემაში არსებული გამოწვევების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სისტემის გათავისუფლებას შიდა და გარე გავლენებისგან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეფექტიანობის გაზრდას, მისი საქმიანობის გამჭვირვალობას.

კვლევის ინსტრუმენტები და წყაროები

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

დოკუმენტში გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოში არსებული ნორმატიული ჩარჩო, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მიღებული და საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები;
- საბჭოს სხდომებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე საიას მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

საია ასევე ეყრდნობა წარსულში გამოცემულ ანგარიშებსა და კვლევებს, რომლებიც სასამართლო სისტემას აფასებს. გაანალიზდა საერთაშორისო ორგანიზაციების - ვენეციის კომისიის, ეუთოს, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტები (გზამკვლევები, ანგარიშები, შეფასებები და სხვა), როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულად საქართველოს მიმართ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[2] იქვე.

მიგნებები

მართლმსაჯულების რეფორმის არაერთი ტალღისა და საკონსტიტუციო ცვლილებების მიუხედავად, მართლმსაჯულების სისტემა კვლავ სისტემური გამოწვევების წინაშეა.

მთავარი გამოწვევა სისტემაში არსებული კორპორატივიზმია. თუკი წლების წინ ძირითადი პრობლემა ხელისუფლების მიერ სასამართლო სისტემის კონტროლი იყო, დღესდღეობით, მან სტრუქტურის შიგნით გადაინაცვლა და მთავარი მაკონტროლებელი პირები გავლენიანი მოსამართლეები გახდნენ. მათ, ხელისუფლებასთან ალიანსში, სრულად მოირგეს მართლმსაჯულების სისტემა და ძირითადი ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც, მისი მრავალფეროვანი ფუნქციების გათვალისწინებით, აკონტროლებს სასამართლოს. ბოლო წლებში საერთაშორისო ორგანიზაციებმა აქტიურად დაიწყეს ხაზგასმა არსებულ კონტექსტზე, კორპორატივიზმზე, საბჭოზე, როგორც ორგანოზე, რომელმაც საზოგადოების ნდობა ვერ მოიპოვა.[3] შესაბამისად, რეკომენდაციებში საუბარია მართლმსაჯულების ყოვლისმომცველ რეფორმაზე და არა პროცედურულ დახვეწაზე. ამის საპირისპიროდ, საანგარიშო პერიოდში შემუშავებული ყველა საკანონმდებლო ცვლილება ზედაპირული ხასიათის იყო და სისტემაში არსებული რეალური გამოწვევების მოგვარებას არ ემსახურებოდა.

სასამართლოსთან დაკავშირებით შექმნილი მძიმე ვითარების დადასტურება იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავლენიანი ჯგუფის წევრებისთვის, მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების - მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, ვალერიან ცერცვაძისა და ირაკლი შენგელიასთვის, მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური შეზღუდვების დაწესება.[4] სამწუხაროდ, მმართველმა პარტიამ ხელი შეუშალა პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელსაც სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა სახის დარღვევები უნდა შეესწავლა. უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ ეს მოსამართლეების მიმართ „სოლიდარობის აქტად" შეაფასა.[5]

ორწლიანი დაგვიანებით, პარლამენტმა იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები დანიშნა. მათი სამუშაო გამოცდილებისა და გასაუბრებების გათვალისწინებით, მოლოდინი იმისა, რომ ახალდანიშნული წევრები სისტემაში არსებულ პრობლემაზე ღიად ისაუბრებდნენ, არ არსებობდა, თუმცა მათ შესვლას საბჭოში ჯანსაღი დისკუსიის სივრცეც კი არ გაუჩენია. სამწუხაროა, რომ სრულად დაკომპლექტებული იუსტიციის საბჭოს პირობებში საკითხები დისკუსიის გარეშე განიხილება და სხდომაზე დამსწრეთა ერთსულოვანი მხარდაჭერა აქვს.

[3] CDL-AD(2023)006-e, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 134th Plenary Session (Venice, 10-11 March 2023), პარა. 16-17.

[4] Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, U.S. Department of State, 5 April 2023, available at: https://www.state.gov/public-designations-of-mikheil-chinchaladze-levan-murusidze-irakli-shengelia-and-valerian-tsertsvadze-due-to-involvement-in-significant-corruption/, accessed: 26.05.2024.

[5] ირაკლი კობახიძე - მივიღეთ გადაწყვეტილება, არ გავიაროთ რეგისტრაცია კენჭისყრამდე - ეს არის სოლიდარობის აქტი ქართველი მოსამართლეების მიმართ, 2023 წლის 18 აპრილი, „ინტერპრესნიუსი", ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/WiyCF, განახლებულია: 28.05. 2024.

კვლავ პრობლემად რჩება საბჭოში ე.წ. თავმჯდომარეების კვოტის არსებობა. საანგარიშო პერიოდში საბჭოს არჩეული 8 წევრიდან 4 იმავდროულად კოლეგია/პალატის თავმჯდომარეობას ითავსებდა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში მდებარე სასამართლოებიდან საბჭოში არცერთი მოსამართლე არ არის წარმოდგენილი, რომლებსაც საშუალება ექნებათ, სხდომებზე რეგიონში არსებულ პრობლემებზე ისაუბრონ.

საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ საბჭო მის ხელთ არსებულ ბერკეტებს გავლენიანი ჯგუფის გასაძლიერებლად და განსხვავებული აზრის ჩასახშობად იყენებს. იუსტიციის საბჭომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამწლიან გამოსაცდელ ვადაში დანიშნული მოსამართლე, ნინო გიორგაძე უვადოდ არ გადანიშნა. არსებობდა ეჭვები, რომ ნინო გიორგაძის არდანიშვნა უკავშირდებოდა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და განსხვავებულ შეხედულებებს, რომელსაც იგი 2021 წლის დეკემბერში კლანის გასაძლიერებლად ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე საჯაროდ აფიქსირებდა. საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსების მიმართ ნდობის არარსებობის ნათელი მაგალითია ბოლო წლებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე კანდიდატთა მცირე რაოდენობა და ინტერესი.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა გავლენიანი ჯგუფისა და მათთან დაახლოებული პირების როტაცია სისტემაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე. დამოუკიდებელი ინსპექტორის ზურა აზნაურაშვილი თანამდებობიდან ვადაზე ადრე წასვლის შემდგომ იგი საბჭოს ყოფილმა არამოსამართლე წევრმა შოთა ქადაგიძემ ჩაანაცვლა. ამასთანავე, საბჭოს მოსამართლე წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა საბჭოს წევრი ბადრი შონია ჩაანაცვლა იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში. ხაზგასასმელია, რომ დიმიტრი გვრიტიშვილს ეს თანამდებობა უკვე ეკავა, სანამ საბჭოს წევრი ხელმეორედ გახდებოდა.

გამოწვევად რჩება საბჭოს ფართო და მრავალფეროვანი უფლებამოსილებები. მათ შორის, მისი როლი იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის შერჩევისას.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის საბჭომ მხოლოდ 1 სადისციპლინო სხდომა ჩაატარა. საჩივრების სიმრავლის მიუხედავად, რომელთა უმეტესობაც გაჭიანურებულ მართლმსაჯულებას ეხება, საბჭო არ დგამს ქმედით ნაბიჯებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროში გახანგრძლივების პირობებში ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ეფექტიანი ბერკეტია.

გამჭვირვალობის კუთხით მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. საანგარიშო პერიოდში გაგზავნილ რვა წერილზე საიას პასუხი არ მიუღია. ეს მნიშვნელოვნად ართულებს მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების მუშაობას.

საბჭოს ვებგვერდზე არ აუტვირთავს არცერთი სხდომის ოქმი, ასევე, 2023 წლის 2 ივნისის მერე არ გამოუქვეყნებია მიღებული გადაწყვეტილებები. კანონით დადგენილ ვადაში საიტზე არ განთავსებულა არცერთი სხდომის თარიღი და დღის წესრიგი. რეგულარულად ხდებოდა მათი შეცვლა/გადადება, დღის წესრიგიდან საკითხების მოხსნა.

1. ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების პროგრესი პოლიტიკურ კონტექსტში

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგი ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღების მოლოდინის პარალელურად მიმდინარეობდა. ამ თავში შეფასებულია ვენეციის კომისიისა და ევროკომისიის რეკომენდაციების ფონზე ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მმართველმა პარტიამ დააინიციირა.

ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად „ქართული ოცნების" მიერ გადადგმული ნაბიჯები ყოველთვის გვერდს უვლიდა სასამართლოსთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემას სისტემაში გავლენიანი ჯგუფის არსებობის შესახებ და ძირითადი აქცენტები პროცედურულ გაუმჯობესებაზე კეთდებოდა. ამის დასტური იყო 2022 წელს შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგია, რომელიც არ მოიცავდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევების რეალურ შეფასებას, შესაბამისად, არც შემოთავაზებული ღონისძიებები იყო მათი მოგვარების საშუალება. მომზადებული კანონპროექტი ასევე სრულად უგულებელყოფდა მართლმსაჯულების სისტემის უმთავრეს პრობლემებს, ძალაუფლების კონცენტრაციას და არაფორმალურ გავლენებს.[6]

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური სანქციების დაწესება მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წევრებისთვის,[7] კიდევ ერთხელ ადასტურებდა არაფორმალური გავლენებისა და კლანურობის პრობლემებს.[8] წლებია, სამოქალაქო ორგანიზაციები საუბრობენ, რომ პოლიტიკური ინტერესების მქონე საქმეებზე გადაწყვეტილებები მიიღება არა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ მმართველი გუნდის პოლიტიკური მიზნების გათვალისწინებით.[9]

ამ ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო არამოსამართლე წევრებად მიუკერძოებელი და კომპეტენტური კანდიდატების დანიშვნა, რაც, ორმაგი 2/3-ით გადაწყვეტილების მიღების წესთან ერთად, სასიკეთოდ შეცვლიდა ძალთა ბალანსს და საბჭოში განსხვავებულ აზრს გააჩენდა. თუმცა, ხელისუფლებამ, 2 წლის დაგვიანებით, საბჭოს არამოსამართლე წევრებად ისეთ კანდიდატებს დაუჭირა მხარი, რომელთა არჩევამ არსებული ვითარება ოდნავადაც ვერ გააუმჯობესა.

ხელისუფლება რომ რეალური რეფორმების გატარებას არ აპირებდა, კიდევ ერთხელ დადასტურდა 2023 წლის 13 ივნისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც, მათი განცხადებით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულებას ემსახურებოდა.[10] სინამდვილეში, მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა

---

[6] მმართველი გუნდის მიერ შემუშავებული სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ეხმიანება მართლმსაჯულებაში არსებულ რეალურ პრობლემებს, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 07.11.2023. ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=274&clang=0, განახლებულია: 27.09.2023.

[7] მოქმედი მოსამართლეები - მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე და ირაკლი შენგელია, ყოფილი მოსამართლე - ვალერიან ცერცვაძე.

[8] Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, U.S. Department of State, 5 April 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/04SeE, განახლებულია: 06.10.2023.

[9] ვერძეული ს. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში (2013-2021 წლები), თბილისი, 2021 წელი, გვ. 4, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/btvyD, განახლებულია: 24.03.2024.

[10] კოალიცია ეხმიანება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს, 2023 წლის 23 ივნისი, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ხელმისაწვდომია: https://coalition.ge/index.php?article_id=293&clang=0, განახლებულია: 25.03.2024.

საბჭოს არამოსამართლე და მოსამართლე წევრების შერჩევის პროცედურა. კონკრეტულად, პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვრა არამოსამართლე წევრობის კანდიდატთა სავალდებულო მოსმენა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საჯარო სხდომაზე.[11] ამასთანავე, საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატს უფლება მიენიჭა, კენჭისყრამდე მოსამართლეთა კონფერენციისთვის წარედგინა საკუთარი ხედვები და მოსაზრებები.[12] ასევე, მივლინებული მოსამართლისთვის გაიწერა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური სამივლინებო დანამატის გაცემის ვალდებულება და დანამატის ოდენობის ზღვრები.[13] ცვლილებები კვლავ გვერდს უვლიდა სისტემაში არსებულ მთავარ პრობლემას - მართლმსაჯულების პოლიტიზებას და მოსამართლეებზე არაფორმალურ გავლენებს.[14]

არც 2023 წლის სექტემბერში ინიციირებული ცვლილებები[15] მოიცავდა საკითხების სისტემურ გადაწყვეტას.[16] მიუხედავად ცალკეული პოზიტიური ასპექტისა, როგორიც იყო სასამართლოს აქტების გასაჯაროების ახლებური რეგულირება, ფაქტობრივად, არცერთი შემოთავაზებული საკითხი არ იყო არსებითი. ფრაგმენტული განახლებები კი, საერთო ჯამში, არც არაფორმალური გავლენებისგან სისტემის გათავისუფლების და არც მის მიმართ ნდობის გაზრდის მიზანს არ ემსახურებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ცვლილება ეხებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის გაზრდას უბრალო უმრავლესობიდან საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3-მდე.[17] აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბერში „ქართული ოცნების“ მიერ დაჩქარებული წესით მიღებულ ცვლილებებამდე ეს კვორუმი სწორედ 2/3-ს შეადგენდა. ცვლილების შედეგად კი, ის უბრალო უმრავლესობამდე შემცირდა. საიას შეფასებით, ეს არსებითად აუარესებდა მოსამართლის დამოუკიდებლობისთვის აუცილებელ გარანტიებს.

ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით, იმის გამო, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ მოიპოვა საზოგადოების ნდობა,[18] ვენეციის კომისიამ ისაუბრა მოსამართლეთა „ვეტინგის“[19] შესაძლებლობაზეც, როგორც საბჭოს წევრების პროფესიონალიზმის და კეთილსინდისიერების შემოწმების დროებით მექანიზმზე.[20] კომი-

[11] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[12] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 208-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[13] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონის 37[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[14] კოალიცია ეხმიანება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2023 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=293&clang=0, განახლებულია: 26.12.2023.

[15] ცვლილებების ამ პაკეტს, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის 29 მაისის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი.

[16] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/27096, განახლებულია: 26.12.2023.

[17] იქვე.

[18] Venice Commission, Georgia follow-up opinion to previous opinions concerning the organic law on common courts, CDL-AD(2023)033-e, 9 October 2023, 12-13.

[19] მოსამართლეთა ვეტინგი გულისხმობს მათი კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერებისა და მუშაობის ხარისხის შემოწმების პროცესს, რაც მოითხოვს მათ გარკვეულ სტანდარტებსა და კრიტერიუმებთან შესაბამისობას. ეს პროცესი, როგორც წესი, ტარდება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად და, ასევე, სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის გასამყარებლად. Commission For Democracy Through Law (Venice Commission) Compilation Of Venice Commission Opinions And Reports Concerning Vetting Of Judges And Prosecutors, Strasbourg, 19 December 2022, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2022)051-e#:~:text=Vetting%20of%20judges%20and%20prosecutors%20as%20examined%20in%20earlier%20VC,and%20integrity%20in%20public%20office, განახლებულია: 26.12.2023.

[20] Venice Commission, Georgia follow-up opinion to previous opinions concerning the organic law on common courts, CDL-AD(2023)033-e, 9 October 2023, პარა. 11, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/x4xO9NR, განახლებულია: 07.12.2023.

სიამ ასევე განმარტა, რომ ყოვლისმომცველი რეფორმა გულისხმობს: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ფუნქციების, აგრეთვე, მისი წევრების შერჩევის წესის გადასინჯვას და სისტემაში არსებულ კორპორატივიზმთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემას.[21]

2023 წლის 8 ნოემბერს ცნობილი გახდა ევროკომისიის გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად დადებითი რეკომენდაციის გაცემის თაობაზე. ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციად დარჩა ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის განხორციელება. ევროკომისია ხელისუფლებას, გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის გზით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად შესრულებისკენ მოუწოდებდა.[22] ევროკომისიის დოკუმენტში, ვენეციის კომისიის შეფასების მსგავსად, საუბარია საფუძვლიანი და სისტემური კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმზე, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. დასკვნის თანახმად, კეთილსინდისიერების შემოწმებას უნდა დაექვემდებარონ წამყვან თანამდებობებზე მყოფი პირები - იუსტიციის საბჭოს წევრები, უზენაესის სასამართლოს მოსამართლეები და სასამართლოს თავმჯდომარეები, ასევე, თანამდებობების დაკავების მსურველი კანდიდატები.[23]

[21] Venice Commission, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, CDL-AD(2023)006-e, 11 March 2023, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/x4xO9NR, განახლებულია: 07.12.2023.

[22] იქვე.

[23] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, page 20-21, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fqtFO, განახლებულია: 13.04.2024.

2. იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება – გამოწვევები

ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი სასამართლო სისტემის სიღრმისეული რეფორმაა. ვენეციის კომისია 2023 წელს გამოქვეყნებულ დასკვნაში ხაზგასმით საუბრობს კორპორატივიზმისა და პირადი ინტერესების შესახებ მუდმივ და ფართოდ გავრცელებულ ბრალდებებზე, რომლებიც სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას აზიანებს.[24] დოკუმენტში მითითებულია, რომ დაუშვებელია კორპორატივიზმი, რომელიც წაახალისებს მოსამართლეთა ერთი ჯგუფის ინტერესებს სხვა ჯგუფების საზიანოდ.[25] ასევე, აღნიშნულია, რომ საბჭოს წევრად ერთი და იმავე მოსამართლის ზედიზედ არჩევა, იუსტიციის საბჭოს მიმართ უნდობლობის გათვალისწინებით, შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში.[26] დასკვნაში ვენეციის კომისიამ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება საბჭოში გადაწყვეტილების მიღების წესის შეცვლაზე, რითაც უნდა გაზრდილიყო არამოსამართლე წევრების როლი და გადაწყვეტილებების მისაღებად სავალდებულო გამხდარიყო მინიმუმ სამი მათგანის მონაწილეობა.[27]

კანონით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 15 წევრია.[28] 9 მათგანი მოსამართლეა, ხოლო 6 - არამოსამართლე.[29] თითქმის ორი წლის განმავლობაში საბჭო 10-კაციანი შემადგენლობით ფუნქციონირებდა. მოგვიანებით, პარლამენტმა არამოსამართლე წევრებად ისეთ კანდიდატებს დაუჭირა მხარი, რომ ამან, პლურალიზმის ნაცვლად, გავლენიანი ჯგუფის გაძლიერებას შეუწყო ხელი. სხდომები დებატების და განსხვავებული აზრის გარეშე მიმდინარეობს. ამასთანავე, თბილისის გარდა, სხვა რეგიონული სასამართლოები საბჭოში არ არიან წარმოდგენილნი, მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემაში უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენენ. კლანის არსებობის ფონზე, არ იზღუდება საბჭოს წევრებად ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირების[30] დანიშვნა. მეტიც, 2021 წლის დეკემბერის ცვლილებებით გაუქმდა ჩანაწერი, რომელიც ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევას კრძალავდა და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც კრიტიკის მთავარი ობიექტი იუსტიციის საბჭოა - ინსტიტუტი, რომელმაც წლების განმავლობაში ვერ მოიპოვა საზოგადოების ნდობა და რომელიც აკონტროლებს მთელ სისტემას თავისი განუზომელი უფლებამოსილებებით: მოსამართლეების დანიშვნით, გადანიშვნით, უზენაესში წარდგინებით, მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინებით, დისციპლინირების სისტემით.

ვენეციის კომისიამ 9 ოქტომბერს გამოქვეყნებულ დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოვლისმომცველი რეფორმა გულისხმობს საბჭოს უფლებამოსილებების, ფუნქციების, შემადგენლობისა და მისი წევრების შერჩევის პროცესის გადასინჯვას იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს საზოგადოების კითხვებს საბჭოს კეთილსინდისიერე-

[24] CDL-AD(2023)006-e, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, პარა. 15. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/84zgMcd, განახლებულია: 27.09.2023.
[25] იქვე, პარა. 17.
[26] იქვე, პარა. 23.
[27] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, chapter 23, Brussels, 8.11.2023. ხელმისაწვდომია: chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://neighbourhoodenlargement.ec.europa.eu/system/files/202311/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf?fbclid=IwAR0PLTK4h7bboAlft_PyL0NImiScoPm8i_h1CvCWuiwiflgdPyOiJKD3vL4, განახლებულია: 08.12.2023.
[28] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[29] იქვე.
[30] იგულისხმება სასამართლოს, კოლეგიების, პალატების თავმჯდომარეები, რომლებსაც, წლებია, სასამართლოს სისტემაში ისედაც უკავიათ მნიშვნელოვანი თანამდებობები.

ბისა და სისტემაში არსებული შესაძლო კორპორატივიზმის თაობაზე.[31]

ვენეციის კომისიამ გაიზიარა სამოქალაქო სექტორის მიერ იდენტიფიცირებულ კიდევ ერთი გამოწვევა და ხაზგასმით მიუთითა, რომ ორი სხვადასხვა ჯგუფის მიერ დაკომპლექტებულ ორგანოში გადაწყვეტილების მიღების ბერკეტი მხოლოდ ერთი ჯგუფის ხელში არ უნდა იყოს.[32] კომისიის აზრით, პლურალიზმის იდეა მოიცავს არა მხოლოდ არამოსამართლე წევრების ყოფნას საბჭოში, არამედ იმას, რომ მათ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[33] კომისიამ პარლამენტს ამ წესის გადახედვისა და საბჭოში დაბალანსებული სისტემის შექმნისკენ მოუწოდა,[34] რაც გულისხმობდა გადაწყვეტილების მიღებისას მინიმუმ 3 არამოსამართლე წევრის მხარდაჭერის აუცილებლობას მათი ეფექტიანი მონაწილეობისთვის.[35]

საპასუხოდ, ხელისუფლება კვლავ გვერდს უვლის სისტემაში არსებულ მთავარ პრობლემას - სასამართლოს პოლიტიზებას და მოსამართლეებზე არაფორმალურ გავლენებს.

საია მიიჩნევს, რომ თავმჯდომარეების კვოტა საბჭოში უნდა გაუქმდეს. ასევე, უნდა გაუქმდეს ერთი და იმავე მოსამართლის ზედიზედ ორჯერ არჩევის შესაძლებლობა. გავლენის შესამცირებლად ასევე აუცილებელია, საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევისას გენდერული, რეგიონული კვოტების დაწესება და ინსტანციური წარმომადგენლობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცება.

2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა

2021 წლის ივნისის შემდეგ, თითქმის ორი წელი, საბჭო ათკაციანი შემადგენლობით მუშაობდა. ეს ეწინააღმდეგება იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესით გათვალისწინებულ პლურალიზმის პრინციპს, რომელიც საბჭოში არამოსამართლე წევრების ყოფნას და სასამართლოს საქმიანობაში საზოგადოებრივ ჩართულობას გულისხმობს.[36]

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა არამოსამართლე წევრების შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.[37] არამოსამართლე წევრები კონკურსის სა-

---

[31] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Georgia follow-up opinion to previous opinions concerning the organic law on common courts, CDL-AD(2023)033-e, 9 October 2023, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)033-e&fbclid=IwAR1DqcEePgU2mr--fhJhtRB6wAV9iqj3ylGzRQ3Gh4EO9ZaQiRJ36VuYVDI, განახლებულია: 26.10.2023.
იქვე, პარა. 19.

[32] იქვე.

[33] CDL-AD(2023)006-e, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, (Venice, 10-11 March 2023), par 19-20, https://cutt.ly/x4xO9NR, განახლებულია: 23.03.2023.

[34] იქვე.

[35] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Georgia follow-up opinion to previous opinions concerning the organic law on common courts, CDL-AD(2023)033-e, 9 October 2023, par. 18. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)033-e&fbclid=IwAR1DqcEePgU2mr--fhJhtRB6wAV9iqj3ylGzRQ3Gh4EO9ZaQiRJ36VuYVDI, განახლებულია: 22.10.2023.

[36] მართლმსაჯულების საბჭოების ევოლუცია და მათი როლი დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემებში, სტრასბურგი, 2021 წლის 5 ნოემბერი, პარა. 29, ხელმისაწვდომია: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://rm.coe.int/opinion-no-24-2021-of-the-ccje-ge/1680a53db2, განახლებულია: 23.10.2023.

[37] „იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 5 არამოსამართლე წევრის ასარჩევი კონკურსი გამოცხადდა“, „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/49k2v5x, განახლებულია: 09.01.2023.

ფუძველზე, სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ის მხარდაჭერით აირჩევიან.[38] 2023 წლის 17 მაისს პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევისთვის 29 კანდიდატს სათითაოდ უყარეს კენჭი. მათგან, საბოლოოდ, 3 კანდიდატი შეირჩა.[39] პარლამენტმა არამოსამართლე წევრებად ტრისტან ბენაშვილი, გიორგი გზობავა და ზურაბ გურასპაშვილი აირჩია.[40]

ევროკავშირის რეკომენდაციის რეალურად შესასრულებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო არამოსამართლე წევრებად მიუკერძოებელი და კომპეტენტური კანდიდატების დანიშვნა, რაც, ორმაგი 2/3-ით გადაწყვეტილების მიღების წესთან ერთად,[41] სასიკეთოდ შეცვლიდა ძალთა ბალანსს და განსხვავებულ აზრს გააჩენდა საბჭოში.[42] თუმცა, ხელისუფლებამ, 2 წლის დაგვიანებით, საბჭოს არამოსამართლე წევრებად ისეთ კანდიდატებს დაუჭირა მხარი, რომლებიც გასაუბრების დროს გამოირჩეოდნენ ხელისუფლების და სასამართლო სისტემის მიმართ ლოიალური პოზიციებით.[43] გარდა ამისა, ამ პირთა ბიოგრაფიების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა მათი კავშირები სასამართლოს გავლენიან პირებთან.[44]

სამწუხაროა, რომ 3 არამოსამართლე წევრის არჩევას მხარი ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელმაც დაუჭირა.[45] არამოსამართლე წევრები არა ფართო პოლიტიკური კონსენსუსით, არამედ დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებების შედეგად აირჩიეს.[46] ამ შეფასებას დაეთანხმა ვენეციის კომისია და დასკვნაში მიუთითა, რომ არამოსამართლე წევრების არჩევა ორი წლის დაგვიანებით, პოლარიზებულ პოლიტიკურ კონტექსტში მოხდა.[47] ასევე, სამი არამოსამართლე წევრის შესაძლო კავშირებმა სისტემაში არსებულ გავლენიან ჯგუფთან ეჭვქვეშ დააყენა პლურალიზმი საბჭოში.[48]

---

[38] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[39] „პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 არამოსამართლე წევრი აირჩია“, 2023 წლის 17 მაისი, პუბლიკა, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/parlamentma-iusticiis-umaghlesi-sabchos-3-aramosamartle-wevri-airchia/, განახლებულია: 20.06.2023.

[40] „პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 ახალი წევრი აირჩია“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2023 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentma-iustitsiis-umaghlesi-sabchos-3-akhali-tsevri-airchia?fbclid=IwAR0Xq-3jQ44dtwVux4HHVqGnl8bKdhHOTCAVzxqqp7AtmfZLg-Pm5VmF3OY, განახლებულია: 17.06.2023.

[41] მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა.

[42] სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა, 2021 წლის 21 ივნისი, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=256&clang=0, განახლებულია: 14.04.2024.

[43] კოალიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას ეხმაურება, 2023 წელი 18 მაისი, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=287&clang=0, განახლებულია: 22.10.2023.

[44] „ვინ არიან და რა კავშირები აქვთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალ არამოსამართლე წევრებს“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2023 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/blog/vin-arian-da-ra-kavshirebi-akvt-iusticiis-umaglesi-sabchos-axal-aramosamartle-cevrebs, განახლებულია: 23.10.2023.

[45] „პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრიდან მხოლოდ 3 აირჩია“, 2023 წლის 17 მაისი, „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია:https://www.radiotavisupleba.ge/a/32415599.html, განახლებულია: 23.20.2023.

[46] კოალიცია ეხმიანება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს, 23.06.2023, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=293&clang=0, განახლებულია: 27.09.2023.

[47] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Georgia follow-up opinion to previous opinions concerning the organic law on common courts, CDL-AD(2023)033-e, 9 October 2023, para. 19. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)033-e&fbclid=IwAR1DqcEePgU2mr--fhJhtRB6wAV9iqj3ylGzRQ3Gh4EO9ZaQiRJ36VuYVDI, განახლებულია: 23.10.2023.

[48] იქვე, para. 16.

დარჩენილ 2 ვაკანტურ ადგილზე კენჭისყრა პარლამენტმა 17 ოქტომბერს ჩაატარა.[49] მეორე ტურში გადასული 4 პრეტენდენტიდან[50] არამოსამართლე წევრებად პარლამენტმა მხარი, 90 ხმით, გოგა კიკილაშვილისა და ლევან ნემსაძის კანდიდატურებს დაუჭირა.[51] გოგა კიკილაშვილი გავლენიანი ჯგუფის ხელშეწყობით საკონსტიტუციო სასამართლოში განწესებული მოსამართლის - ხვიჩა კიკილაშვილის შვილია. თვითონ გოგა კიკილაშვილი არამოსამართლე წევრად არჩევამდე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი იყო. ამ პოზიციაზე ის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დანიშნა. „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა განაცხადეს, რომ, ამ გადაწყვეტილებით, პარლამენტმა ევრორეკომენდაციის ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი შეასრულა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად დააკომპლექტა.[52]

სინამდვილეში, ახალი არამოსამართლე წევრების დანიშვნით კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა სისტემაში არსებული კლანი. საბჭოს 15-ვე წევრი ერთსულოვანია და ამდენივე ხმით მიიღება გადაწყვეტილებები. იუსტიციის საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების შემდეგ პირველად არის მოცემულობა, როდესაც საბჭოს სხდომაზე განსხვავებულ აზრს არავინ გამოხატავს.

[49] პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებად ლევან ნემსაძე და გოგა კიკილაშვილი აირჩია, 17.10.2023. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/773960-parlamentma-iusticiis-umaglesi-sabchos-aramosamartle-cevrebad-levan-nemsaze-da-goga-kikilashvili-airchia, განახლებულია: 22.10.2023.

[50] ლევან ნემსაძე, გოგა კიკილაშვილი, ნინო ნიშნიანიძე, რუსუდან კვინიკაძე.

[51] პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებად ლევან ნემსაძე და გოგა კიკილაშვილი აირჩია, 2023 წლის 17 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/773960-parlamentma-iusticiis-umaglesi-sabchos-aramosamartle-cevrebad-levan-nemsaze-da-goga-kikilashvili-airchia, , განახლებულია: 22.10.2023.

[52] „არჩილ თალაკვაძე - პარლამენტმა შეასრულა ევრორეკომენდაციების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი - იუსტიციის უმაღლესი საბჭო დააკომპლექტა კიდევ ორი წევრით“, 2023 წლის 17 ოქტომბერი, „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/773977-archil-talakvaze-parlamentma-sheasrula-evrorekomendaciebis-kidev-erti-mnishvnelovani-punkti-iusticiis-umaglesi-sabcho-daakomplekta-kidev-ori-cevrit, განახლებულია: 17.10.2023.

3. სისტემის შევსების პრივილეგია – გავლენიანი ჯგუფის კიდევ ერთი ბერკეტი

3.1. მოსამართლეების დანიშვნა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში

სასამართლო სისტემაში ახალი კადრების შედინებაზე სრული კონტროლი აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ეს უფლებამოსილება სისტემის გასაკონტროლებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია მის ხელში. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა და დანიშვნის წესის დახვეწისა, საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსები მუდმივად კრიტიკას იმსახურებს და აჩენს ლოიალობის ნიშნით დანიშვნების ეჭვს.[53]

საბჭო პასუხისმგებელია რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების კონკურსის საფუძველზე დანიშვნაზე.[54] ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსის გავლა.[55]

დღესდღეობით, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდას იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს და ატარებს. კანონით არ არის განსაზღვრული საგამოცდო კომისიის წევრის შერჩევის კრიტერიუმები.[56] საბჭო რეგლამენტით დადგენილი წესით ქმნის კომისიას და ამტკიცებს მის შემადგენლობას. ასევე, ის თავად განსაზღვრავს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს და პროგრამას,[57] რაც მას აძლევს ფართო უფლებამოსილებას, არასათანადო გავლენა მოახდინოს სკოლაში მსმენელთა მიღების პროცესზე.

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.[58]

საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა საბჭომ სამჯერ ჩაატარა.

2023 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, პირველად ის მარტში ჩატარდა.[59] 201 მსურველიდან გამოცდა 38-მა პირმა ჩააბარა.[60]

2023 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გა-

---

[53] ნინო ნოზაძე და ოლღა შერმადინი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019, გვ. 16-25, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2zqPX2X, განახლებულია: 12.03.2022; ნინო ნოზაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020, გვ. 14-21, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qTcutK, განახლებულია: 12.03.2022.

[54] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[55] იქვე, 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[56] იქვე, 52- ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[57] იქვე, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[58] იქვე, 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[59] მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 26 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dptJO, განახლებულია: 22.03.2024.

[60] სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში - 27-მა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში - 11-მა. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი, წერითი გამოცდა დასრულდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 20 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/jlUZ6, განახლებულია: 22.03.2024.

მოცდა კვლავ დაინიშნა, რომელიც ივნისში ჩატარდა.[61] 167 მსურველიდან გამოცდა (ტესტური და წერითი) 51-მა პირმა ჩააბარა.[62]

2023 წლის 12 ივლისის სხდომაზე საბჭომ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის კიდევ ერთხელ ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო და ის სექტემბერში დანიშნა.[63] 158 მსურველიდან გამოცდა 37-მა პირმა ჩააბარა.[64]

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 126-მა კონკურსანტმა.

3.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენები მოსამართლეების სისტემაში შესვლის პროცესზე - პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომი ნაბიჯი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაბარება და მისი დასრულებაა.

სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას საბჭო იღებს,[65] მსმენელთა მისაღებ კონკურსს კი იუსტიციის სკოლა ატარებს.[66] თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისა და თავმჯდომარის შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო როლი. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან[67] და დამატებით კიდევ 2 წევრს - აკადემიური კვოტიდან,[68] სამ წევრს ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია, ხოლო მისი თავმჯდომარე აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის კვოტიდან (სულ 3) კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.[69] პრობლემურია დამოუკიდებელი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესიც. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.[70]

სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შიდაორგანიზაციული თავისუფლებისთვის, უმჯობესია, გადაიხედოს მისი წევრების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი, ხოლო თავმჯდომარის არჩევის უფლება თავად სკოლის საბჭოს მიენიჭოს.

---

[61] მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/afLMR, განახლებულია: 22.03.2024.

[62] სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში - 28-მ, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში - 22-მა, ხოლო საერთო სპეციალიზაციაში 1-მა. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი, წერითი გამოცდა დასრულდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 11 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/BEFX1, განახლებულია: 22.03.2024.

[63] მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 12 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bqszF, განახლებულია: 22.03.2024.

[64] სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში - 15-მა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში - 22-მა. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი, წერითი გამოცდა დასრულდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lRSX1, განახლებულია: 22.03.2024.

[65] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{12}-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[66] იქვე, 66^{14}-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[67] იქვე, 66^{3}-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[68] იქვე.

[69] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{3}-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[70] იქვე, 66^{5}-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

2022 წელს კონფერენციამ სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებად გიორგი მიქაუტაძე, ირაკლი შენგელია და ვასილ მშვენიერაძე აირჩია. ეს უკანასკნელი, მოგვიანებით, საბჭომ დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია.

საანგარიშო პერიოდში 24 მაისის სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი დიმიტრი გვრიტიშვილის იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს წევრად კვლავ დანიშვნას.[71] 2021 წელს ის უკვე იყო მისი წევრი და თავმჯდომარე, მას შემდეგ, რაც საბჭოს წევრის უფლებამოსილება ამოეწურა. ერთ წელიწადში მან დატოვა ეს თანამდებობა, ვინაიდან 2022 წლის 23 ოქტომბერს კონფერენციამ ის კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია.[72]

დიმიტრი გვრიტიშვილის კვლავ დანიშვნა სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საბჭოს წევრმა ბადრი შონიამ საკუთარი სურვილით უარი თქვა სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრობაზე. გავლენიანი მოსამართლეების როტაცია სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ სკოლის ფუნქციონირებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი კვლავ დომინანტურია, ხოლო კონკურსის გადატანას საბჭოდან იუსტიციის სკოლაში მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

საბჭომ იმავე სხდომაზე იუსტიციის სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსი გამოაცხადა.

საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებში მოსამართლის 100-ზე მეტი ვაკანსია იყო.[73] მას შემდეგ, რაც მსმენელთა ჩარიცხვა, საბჭოს ნაცვლად, სკოლას დაევალა, ამ უკანასკნელს მსმენელები არ მიუღია. სკოლაში მიღება არც 2021 და 2022 წლებში გამოცხადებულა. მიუხედავად ვაკანსიების დიდი რაოდენობისა, სკოლა, შეზღუდული რესურსების გამო, 30 მსმენელზე მეტს ვერ ამზადებს. მისი ამგვარი ფაქტობრივი ქმედუუნარობა განსაკუთრებით პრობლემურია გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების ფონზე, რაც ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტია საბჭოს ხელში.

კანონი არ არეგულირებს მსმენელთა შერჩევის წესს და კრიტერიუმებს. კანდიდატთა რეგისტრაცია და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები სკოლის წესდებით წესრიგდება.[74]

საანგარიშო პერიოდში სკოლაში მსმენელების მისაღებად საბჭომ ორჯერ გამოაცხადა მიღება. კონკურსი სრულიად გაუმჭვირვალედ ჩატარდა. საიამ გამოითხოვა კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია: დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმები და შესაბამის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები, მსმენელთა მისაღებ კონკურსში კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადები, კონკურსში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობა, რამდენი კანდიდატი გადავიდა მეორე ეტაპზე, როდის

[71] 2021 წელს ის უკვე იყო სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი და თავმჯდომარე, მას შემდეგ, რაც მას იუსტიციის საბჭოს წევრის უფლებამოსილება ამოეწურა. ერთი წლის შემდეგ მან დატოვა ეს თანამდებობა, ვინაიდან კონფერენციამ იგი 2022 წლის 23 ოქტომბერს კვლავ იუსტიციის საბჭოს წევრად აირჩია.

[72] ლევან მურუსიძე და დიმიტრი გვრიტიშვილი აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად, „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32097023.html, განახლებულია: 13.04.2024.

[73] მოსამართლეთა ვაკანტური ადგილები საქართველოში, 2024 წლის 26 მარტი, „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“, ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/number-of-judges, განახლებულია: 14.04.2024.

[74] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{14}-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გაესაუბრა დამოუკიდებელი საბჭო კანდიდატებს და რამდენი ხანი გრძელდებოდა გასაუბრება. თუმცა, იუსტიციის უმაღლეს სკოლას არცერთ მათგანზე პასუხი არ დაუბრუნებია, შესაბამისად, ინფორმაციის სრულად დახურვისა და თვითნებობის პირობებში, ორგანიზაცია მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს მსმენელთა მიღების პროცესი.

3.3. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა

საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ: (1) იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს; (2) ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეებს. სკოლის მსმენელები ინიშნებიან სამწლიანი გამოსაცდელი ვადით, ხოლო მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები - უვადოდ. კანონმდებლობა განსხვავებულ რეგულაციას ითვალისწინებს:

- სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირების გამოსაცდელი ვადით და მისი გავლის შემდეგ უვადოდ გადანიშვნისას;
- სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ გადანიშვნისას.

გამარტივებული წესია დადგენილი საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს ყოფილი და მოქმედი მოსამართლეების დანიშვნისთვის.[75]

პირველ და მეორე ინსტანციაში 305 მოქმედი მოსამართლეა.[76] აქედან უვადოდ დანიშნულია 274 მათგანი, ხოლო 3-წლიანი ვადით - 31.[77]

3.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნა

კანდიდატი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით, ქულების მეშვეობით ფასდება.[78] კონკურსანტებთან ტარდება გასაუბრება.[79] იმ პირის კანდიდატურა, რომელთან დაკავშირებითაც საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა (8 წევრი) მიიჩნევს, რომ „აკმაყოფილებს“ ან „სრულად აკმაყოფილებს“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის ნაწილში, საერთო ჯამში, მოპოვებული აქვს ქულათა არანაკლებ 70%, კენჭისყრაზე დგება.[80] საბოლოოდ, მოსამართლე ხდება ის, ვინც საბჭოს წევრთა ხმების 2/3-ს მიიღებს.[81] კენჭისყრის ჩატარების შემდეგ საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულება აქვს. დასაბუთება პროცედურის აღწერას და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და კეთილსინდისიერების თაობაზე დასკვნას მოიცავს.

გამოქვეყნებული დასკვნების დასაბუთებებში მოსამართლეების შერჩევის პროცედურის აღწერა გამჭვირვალეა, თუმცა, მაგალითად, კეთილსინდისიერების შეფა-

[75] იქვე, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[76] 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით.
[77] მოსამართლეთა ვაკანტური ადგილები საქართველოში, 2024 წლის 26 მარტი, „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“, ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/number-of-judges, განახლებულია: 14.04.2024.
[78] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[79] იქვე, მე-13 პუნქტი.
[80] იქვე, 35-ე მუხლის მე-12 პუნქტი.
[81] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4^1 პუნქტი.

სებისას დასაბუთება ისეა შედგენილი, რომ არ იკვეთება, რას დაეყრდნო საბჭოს წევრი მოსამართლის შეფასებისას.[82] 2023 წლის 7 თებერვალს დანიშნული მოსამართლეების დასაბუთებაში კეთილსინდისიერების შეფასება იდენტურია და ამ წინადადებით გამოიხატება: „კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა ათივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს“.[83]

მნიშვნელოვანია, რომ დასაბუთებაში ჩანდეს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც დადებითი ან უარყოფითი შეფასების საფუძველი გახდა. დასკვნა დაინტერესებულ პირს უნდა აძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას მოსამართლის კეთილსინდისიერების თაობაზე.

2022 წლის 25 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ 21 კანდიდატი დარეგისტრირდა.[84] აქედან 10 მოქმედი მოსამართლე იყო, რომლებიც სხვა სასამართლოში გადასვლას ითხოვდნენ.[85] კონკურსში ასევე მონაწილეობდა 7 ყოფილი მოსამართლე და იუსტიციის სკოლის 4 მსმენელი.[86]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 თებერვლის სხდომაზე, ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეების დასანიშნად კენჭისყრა ჩაატარა.[87] შედეგად, მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა იუსტიციის სკოლის 1 მსმენელი და გადაინიშნა 7 მოქმედი მოსამართლე.[88]

კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს მისმა წევრებმა - ბადრი შონიამ, თემურ გოგოხიამ და ნიკოლოზ მარსაგიშვილმა მიმართეს და მოქმედი მოსამართლის, ია ლაბაძის მიმართ ხელახალი კენჭისყრის ჩატარება ითხოვეს.[89] შესაბამისად, მათ პრაქტიკაში პირველად გამოიყენეს კანონის ჩანაწერი, რომლითაც, თუ კანდიდატი მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ვერ განწესდება, კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს არანაკლებ 3 წევრს უფლება აქვს, კანდიდატის თანხმობით მიმართოს საბჭოს, რათა დარჩენილ რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე მას ხელახლა ეყაროს კენჭი.[90] განმეორებითი კენჭისყრის შედეგად, ია ლაბაძე უვადოდ დაინიშნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში.[91]

სასამართლოში მოსამართლის ასზე მეტი ვაკანტური ადგილია. სისტემაში არსებული ვაკანსიების ასეთი დიდი რაოდენობა და მსურველთა ნაკლებობა მიუთითებს, რომ კვალიფიციური კადრები თავს იკავებენ კონკურსებში მონაწილეობისგან. ამის მიზეზი კი, შესაძლოა, იუსტიციის საბჭოს მიმართ უნდობლობა იყოს.

---

[82] ნოზაძე ნ. იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №10, თბილისი, 2022 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rx256, განახლებულია: 13.04.2024.
[83] ზ. რამიშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 თებერვლის №1/12 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/OY034, განახლებულია: 13.04.2024.
[84] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №55/4103-03-ო წერილი.
[85] მოსამართლეობის კანდიდატთა ბიოგრაფიები, 2022 წლის 20 დეკემბერი, იუსტიციის საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/46ppMnR, განახლებულია: 23.06.2023.
[86] იქვე.
[87] იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის მსურველთა კონკურსის კენჭისყრა გაიმართა, 2023 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Pz2uWq, განახლებულია: 20.06.2023.
[88] იქვე.
[89] მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში ხელახალი კენჭისყრის ჩატარების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 თებერვლის №1/18 განკარგულება.
[90] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულის კანონის 35-ე მუხლის მე-13[1] პუნქტი.
[91] ი. ლაბაძის მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 თებერვლის 1/19 განკარგულება.

იუსტიციის საბჭოს მოსამართლის დასანიშნად 9 მოსამართლე წევრისა და ერთი არამოსამართლე წევრის ხმა ყოფნის. საიას აზრით, მნიშვნელოვანია, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები დაინიშნონ საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმების ორმაგი 2/3-ით.[92] ეს რეგულაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არამოსამართლე წევრებად საზოგადოების მიერ ნდობაგამოცხადებული და ფართო შეთანხმებით შერჩეული პირები დაინიშნებიან, შეცვლის საბჭოში არსებულ ძალთა გადანაწილებას და კონსენსუსზე ორიენტირებულს გახდის მას.

3.5. კონკურსის წესით სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ დანიშვნა

აქ პროცედურები თითქმის იგივეა, რაც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირთა კონკურსის წესით დანიშვნისას, თუმცა კომპეტენტურობის კრიტერიუმს შეფასებისას ემატება პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლოს დარბაზში ქცევის მახასიათებელი.[93] ამასთანავე, ფასდება (გარდა საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი წევრისა) მის მიერ განხილული 5 საქმე, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, არანაკლებ 2 ისეთი, რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილება ზემდგომმა სასამართლომ შეცვალა.[94] კონკურსის ეტაპების წარმატებით გავლის შემდეგ ეს კანდიდატები უვადოდ ინიშნებიან.[95] 2023 წელს ამ პროცედურით არავინ განწესებულა მოსამართლედ.

3.6. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა

გამოსაცდელი ვადით განწესებულ მოსამართლეს 3 წლის განმავლობაში აფასებს საბჭოს სამი მოსამართლე და სამი არამოსამართლე წევრი.[96] პირველი, მეორე და მესამე წლის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საბჭო მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას პირის უვადოდ დანიშვნის შესახებ.[97] 2022 წელს, იმის გამო, რომ საბჭო 10 წევრით (მათ შორის, მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრით) მუშაობდა, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით განწესებული მოსამართლეების შეფასება და უვადოდ მათ დანიშვნაზე მსჯელობა ვერ მოხერხდა.[98] კანონით, შეფასება 6 სხვადასხვა შემფასებელს უნდა განეხორციელებინა.[99] საბჭოს 2023 წლის 2 ივნისის სხდომაზე სამწლიანი ვადით დანიშნულ სამ მოსამართლეს - ალექსანდრე ლომიძეს, ფატი ფურცხვანიძესა და ლელა ჭინჭარაულს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ. საიამ გამოითხოვა ინფორმაცია და გადაწყვეტილების ასლები, მაგრამ საბჭოს ისინი არ მოუწოდებია.

2023 წლის 1-ლი ნოემბრის სხდომაზე, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსა-

---

[92] ამ პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა, იხ. „სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი.

[93] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 36^3-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[94] იქვე, 36-ე მუხლის 41-ე პუნქტი.

[95] იქვე.

[96] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 44-ე პუნქტი.

[97] იქვე, 36-ე მუხლის 41-ე პუნქტი.

[98] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმი.

[99] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4^4 პუნქტი.

მართლე ნინო გიორგაძეს, რომელიც 2020 წლის დეკემბრიდან სამწლიანი გამოსაცდელი ვადით იყო დანიშნული, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უვადოდ განწესებაზე უარი უთხრა და კენჭისყრაზეც კი არ დაუშვა. ხაზგასასმელია, რომ საბჭოს ამგვარი მიდგომა ამ დრომდე არცერთი მოსამართლის მიმართ არ გამოუყენებია. იმ ფონზე, როდესაც სისტემაში განსხვავებული აზრის მიუღებლობა, წლებია, პრობლემაა, არსებობს ეჭვი, რომ ნინო გიორგაძის უვადოდ გადანიშვნაზე უარი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ან/და განსხვავებულ შეხედულებებს უკავშირდება.

საიამ იუსტიციის საბჭოდან გამოითხოვა ნინო გიორგაძის შეფასების ანგარიშები და შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომლებიც ორგანიზაციას ამ დრომდე არ მიუღია.

საბჭომ 3 ნოემბრის სხდომაზე, სამწლიან გამოსაცდელი ვადით განწესებული 26 მოსამართლე, მათ შორის, ის სამი მოსამართლე, რომელთა შეფასებაც 2022 წელს არამოსამართლე წევრების არყოფნის გამო ვერ მოხერხდა, 15 წევრის ერთობლივი მხარდაჭერით, უვადოდ დაინიშნა.

3.7. მოსამართლეთა მივლინება

2021 წლის 30 დეკემბერს ნაჩქარევად მიღებული ცვლილებების შედეგად, მოსამართლეების მივლინების მომწესრიგებელი კანონმდებლობა და მათი გარანტიები მთლიანად შეიცვალა: ა) საბჭოს შეუძლია, მოსამართლის თანხმობის გარეშე მიავლინოს იგი 2 წლით. ეს ვადა, შესაძლოა, კიდევ ორი წლით გაგრძელდეს;[100] ბ) შესაძლებელი გახდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში.[101] გარდა ამისა, გაუქმდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლის არანებაყოფლობითი მივლინება ხდებოდა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მყოფი სასამართლოდან.

მოსამართლეთა მივლინების შეცვლილი რეგულირება საბჭოს ძალაუფლებას კიდევ უფრო ზრდის და ინდივიდუალურ მოსამართლეს მეტად მოწყვლადს ხდის.

კანონით, მივლინების ერთ-ერთი წინაპირობა მოსამართლეთა ნაკლებობაა. ეს საყოველთაოდ აღიარებული გამოწვევაა სისტემაში, თუმცა იუსტიციის საბჭო ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქმედით ნაბიჯებს არ დგამს. მაგალითად, ცაგერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის არყოფნის გამო, მუდმივად ხდება იქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან თხელიძის მივლინება.[102]

მივლინების არსებული წესი თვითნებობისთვის გზას უხსნის საბჭოს. 8 თებერვალს ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზაზა რამიშვილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადაინიშნა. ხოლო, 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, იგი საბჭომ ერთი თვით მიავლინა ხაშურის რაიონულ სასამართლოში მის წარმოებაში არსებული და დასრულების სტადიაზე მყოფი საქმეების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად.

13 ივნისს კანონში შესული ცვლილებებით, სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს ყოველთვიურად მიეცემა თანამდებობრივ სარგოზე სამივლინებო დანამატი.[103] ამ დანამატის ოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და

[100] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[101] იქვე.
[102] 2023 წლის 25 იანვრიდან 1-ელ თებერვლამდე მიავლინეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში, 2023 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით, ეს ვადა გაგრძელდა 1-ელ აპრილამდე.
[103] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 371-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ის არ უნდა იყოს მივლინებული მოსამართლის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 10%-ზე ნაკლები.[104]

2023 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილს, რომელსაც 14 აგვისტოდან სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობაც დააკისრეს, მივლინების ვადა სამი თვით გაუგრძელეს. ასევე, ორგანული კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად,[105] მას 1000 ლარის ოდენობით დანამატი დაუწესეს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მივლინების ვადა ერთი წლით გაუგრძელეს და 500-ლარიანი დანამატი დაუწესეს. მასვე დაეკისრა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობები. ასევე, მივლინების ვადა ერთი წლით გაუგრძელეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე ბებიას, რომელიც გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მიავლინეს და 400-ლარიანი დანამატი დაუწესეს. როგორც სხდომაზე ითქვა, სამივე შემთხვევაში, ვადები მათივე თანხმობით გაუგრძელდათ.

მნიშვნელოვანია, მოსამართლეების მივლინების მომწესრიგებელი ნორმები დაუბრუნდეს 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებამდე არსებულ რეგულირებას, რომლითაც გათვალისწინებული იყო: თანხმობის გარეშე მხოლოდ 1 წლამდე ვადით მივლინების შესაძლებლობა; ტერიტორიულად ახლოს მდებარე სასამართლოს პრინციპი; სააპელაციო სასამართლოდან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მივლინებისთვის თანხმობის აუცილებლობა; მოსამართლეთა გადაადგილებასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში ასევე მნიშვნელოვანი ბერკეტია კოლეგიებში/პალატებში მოსამართლეების გადაყვანის უფლებამოსილება, რომელიც, შესაძლოა, საბჭომ გამოიყენოს როგორც უსაფუძვლო პრივილეგიების მისანიჭებლად, ისე, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეების დასასჯელად ან კონკრეტული საქმიდან არასასურველი მოსამართლის ჩამოსაცილებლად. ამ ფონზე, საანგარიშო პერიოდში თვალშისაცემი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების როტაცია. მაგალითად, საბჭომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით მგელიაშვილი იმავე სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში გადაიყვანა, მის ადგილას კი სამწლიან გამოსაცდელ ვადაში მყოფი გიორგი გელაშვილი დანიშნა. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე, სამწლიან გამოსაცდელ ვადაში მყოფი ლაშა კლდიაშვილი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გადაიყვანა,[106] მის ადგილას კი იმავე დღეს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიდან მოსამართლე ნინო თარაშვილი დანიშნა.[107] საბჭოს არ დაუსაბუთებია, რატომ გახდა საჭირო მოსამართლეების როტაცია.

[104] იქვე.
[105] იქვე.
[106] თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის ლ. კლდიაშვილის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განწესების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის №1/30 განკარგულება.
[107] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ნ. თარაშვილის საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში განწესების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის #№1/31 განკარგულება.

4. ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეები

4.1. თავმჯდომარეების როლი და გავლენები

ევროკავშირის რეკომენდაციით, კეთილსინდისიერების შემოწმების ერთ-ერთ ძირითად სუბიექტებად სწორედ სასამართლოს თავმჯდომარეები განიხილებიან.[108] ისინი სისტემაში პრივილეგირებულ ჯგუფს განეკუთვნებიან და, საბჭოსთან ერთად, მოსამართლეთა გასაკონტროლებელ მთავარ ძალას ქმნიან. მათ გავლენას ის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებიც განაპირობებს, რომლებიც კანონით ან საბჭოს მიერ აქვთ მინიჭებული. მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მოტივით, თავმჯდომარეს შეუძლია, მოსამართლეს დაავალოს:

(1) სხვა პალატაში, საგამოძიებო კოლეგიასა ან სპეციალიზებულ შემადგენლობაში საქმის განხილვა;

(2) მაგისტრატი მოსამართლეობა;

(3) ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს - მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ საქმიანობა.[109]

დადგენილი პრაქტიკით, 2006 წლიდან მოსამართლეებს ვიწრო სპეციალიზაციებში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს 2018 წელს ეს უფლებამოსილება საბჭომ მიანიჭა.[110] ამგვარი რეგულირება მანიპულირების რეალურ რისკებს წარმოშობს, მით უფრო სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმე უმეტესად სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიური შემადგენლობით განიხილება, ხოლო საქმის განაწილებისას ელექტრონული პროგრამა კოლეგიური შემადგენლობიდან მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეს ავლენს. დანარჩენი ორის ვინაობას მომხსენებელი მოსამართლე არჩევს. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეგია გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს, თავმჯდომარისთვის ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა მარტივად გადაადგილების უფლების მინიჭება ზრდის კოლეგიის შემადგენლობის ფორმირების პროცესში ჩარევის ალბათობას.

საია მიიჩნევს, რომ საქმის კოლეგიურად განხილვისას სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების წესით, ხოლო ვიწრო სპეციალიზაციაში - წილისყრით უნდა ხდებოდეს.

ამ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების გარდა, ხაზგასასმელია წლების განმავლობაში სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევისას დადგენილი ბუნდოვანი პრაქტიკა. პირველ და მეორე ინსტანციებში სასამართლოს თავმჯდომარეს საბჭო ნიშნავს.[111] იუსტიციის საბჭოს მსგავსად, აქაც თვალშისაცემია მენეჯერულ პოზიციებზე ერთი და იმავე პირების როტაცია. ბოლო წლებში დადგენილი პრაქტიკით,

[108] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, page 20-21, https://shorturl.at/fqtFO, ხელმისაწვდომია: 13.04.2024.

[109] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[110] ნოზაძე ნ. იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის №11 ანგარიში, თბილისი, 2023 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 20, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/osFIW, განახლებულია: 13.04.2024.

[111] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე და 32-ე მუხლები.

თავმჯდომარის ვაკანსიის არსებობისას განცხადება სასამართლოს შიდა ქსელში ქვეყნდება. მიუხედავად ამისა, პროცესი, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. [112]

საია მიიჩნევს, რომ თავმჯდომარეები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა თავად უნდა აირჩიონ. ეს წესი ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერებას და საბჭოს გამოაცლის გავლენის მნიშვნელოვან ბერკეტს.

[112] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11, 2023 წელი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/eksvQ, განახლებულია: 13.04.2024.

5. დისციპლინური სამართალწარმოება

5.1. საკანონმდებლო ხარვეზები - დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა

დამოუკიდებელ ინსპექტორს კონკურსის საფუძველზე, 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.[113] ინსპექტორის შერჩევის თაობაზე, საბჭოს მიერ დადგენილი წესი ხარვეზიანია და არ განსაზღვრავს არაერთ მნიშვნელოვან საკითხს. არ არის დადგენილი კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა) და პროცედურები (შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების მიზანი და რეგულაცია, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასება და მისი დასაბუთება). სამოქალაქო სექტორი ამ ინსტიტუტის შექმნის დღიდან საუბრობს მისი დამოუკიდებლობის სათანადო გარანტიების არარსებობაზე.[114] კანონით, მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ინსპექტორი იწყებს.[115] შესაბამისად, მას ევალება საბჭოს მოსამართლე წევრების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვა. ის, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის ასარჩევად მხოლოდ მოსამართლე წევრების ხმებიც საკმარისია, ამცირებს ამ თანამდებობაზე საბჭოში არსებული გავლენიანი ჯგუფისთვის მიუღებელი კანდიდატის არჩევის შესაძლებლობას. ამასთანავე, არამოსამართლე წევრების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფორმალური ხდება. ფაქტია ისიც, რომ სათანადო საკანონმდებლო გარანტიების არარსებობის ფონზე, დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესი და წარდგენილი კანდიდატები მუდმივად აჩენდა კითხვის ნიშნებს.[116] ამას ემატება გაჭიანურებული დისციპლინური სამართალწარმოება და დადგენილი ვადების უგულებელყოფა,[117] რამაც, საბოლოოდ, ხელი შეუწყო ამ პროცესის მოსამართლეებზე ზემოქმედების ბერკეტად გადაქცევას.

2023 წლის 16 ივნისის სხდომაზე დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ზურა აზნაურაშვილმა საბჭოს პირადი განცხადებით მიმართა და ვადაზე ადრე გათავისუფლება მოითხოვა.[118] ზურაბ აზნაურაშვილი დამოუკიდებელ ინსპექტორად საბჭომ 2020 წელს აირჩია. მას უფლებამოსილების ვადა 2025 წელს ეწურებოდა. საბჭომ მისი განცხადება კითხვების გარეშე დააკმაყოფილა. მალევე იგი საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა. ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა თანამდებობის დატოვების რეალური მიზეზები. მას შემდეგ, რაც ზურა აზნაურაშვილს უფლებამოსილება შეუწყვიტეს, ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა,[119] რომელზეც 32 პირი დარეგისტრირდა. გასაუბრების ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი. გასაუბრებაზე გამოცხადდა 5 მათგანი.[120] მათ შორის იყვნენ იუსტიციის საბჭოს ყოფილი არამოსამართლე წევრები - შოთა ქადაგიძე

[113] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 51^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[114] კოალიციის განცხადება მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზების თაობაზე, 2020 წლის 6 მარტი, ხელმისაწვდომია: https://coalition.ge/index.php?article_id=241&clang=0, განახლებულია: 27.03.2024.

[115] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^6-ე მუხლი.

[116] კოალიცია დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესის მიმდინარეობას უარყოფითად აფასებს, 2020 წლის 20 იანვარი, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=238&clang=0, განახლებულია: 13.04.2024.

[117] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11.

[118] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 16 ივნისის სხდომის მონიტორინგი.

[119] იქვე.

[120] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 27 ივლისის სხდომის მონიტორინგი.

და ზაზა ხარებავა.[121] 2023 წლის 27 ივლისის სხდომაზე იუსტიციის საბჭომ, დამსწრე 11 წევრის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე საბჭოს ყოფილი არამოსამართლე წევრი შოთა ქადაგიძე დანიშნა.[122] შერჩევის პროცესი ამχერადაც გაუმჭვირვალედ წარიმართა. კანდიდატებთან გასაუბრება დახურულ რეჟიმში ჩატარდა. ამასთანავე, საბჭოს ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა მათი ვინაობა და ბიოგრაფიები.

კანონით, დამოუკიდებელ ინსპექტორად დანიშნული წევრი უნდა სარგებლობდეს მაღალი პროფესიული რეპუტაციით.[123] შოთა ქადაგიძის არჩევით გაგრძელდა საკვანძო თანამდებობებზე გავლენიანი χგუფის ინტერესების გამტარებელი ლოიალური პირების დანიშვნა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დიდ ზიანს აყენებს სისტემის დამოუკიდებლობას.

5.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს და საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას უზრუნველყოფს ინსპექტორი,[124] რომელიც დასკვნებსა და მოსაზრებებს საბჭოს წარუდგენს.[125] 2021 წლის 30 დეკემბერს დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით, დისციპლინური სამართალწარმოების ორთვიანი ვადა განახევრდა. წინასწარი მოკვლევის ვადად, 2 თვის ნაცვლად, განისაზღვრა 1 თვე, რომელიც, შესაძლოა, 2 კვირით გაგრძელდეს.[126] წინა წლის მსგავსად, საბჭოს 2023 წელს შესული არცერთი საჩივარი არ განუხილავს.

დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია და არც დამოუკიდებელ ინსპექტორს გამოუყენებია თვითაცილების უფლება.

5.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები

ინსპექტორის მიერ საქმეზე დასკვნისა და მოსაზრების წარდგენის შემდეგ საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას („დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტით[127]) დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.[128] თუმცა, დევნის დაწყებაზე უარის შემთხვევაში მას გადაწყვეტილების დასაბუთება არ ევალება. **საიას აზრით, მნიშვნელოვანია, დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთდეს.**

საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, შეუძლია, თავისი განსხვავებული აზრი წერილობით ჩამოაყალიბოს. 2023 წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, არცერთ წევრს ამ უფლებით არ უსარგებლია.[129] საბჭოს მონიტორინგის ანგარიშებში საია მხარს უჭერდა დისციპლი-

[121] იქვე.
[122] დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე შოთა ქადაგიძე დაინიშნა, 2023 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://dis.court.ge/damoukidebeli-inspeqtoris-thanamdebobaze-shotha-qadagidze-dainishna/, განახლებულია: 27.03.2024.
[123] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^1-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[124] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^6-ე მუხლი.
[125] იქვე.
[126] იქვე, 75^7-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[127] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^8-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[128] იქვე.
[129] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2023 17 იანვრის №16/4170-03-ო წერილი.

ნური სამართალწარმოებისას შუალედური გადაწყვეტილებების მიღებას უბრალო უმრავლესობით და მხოლოდ საბოლოო, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა ან საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას - 2/3-ით.[130] საანგარიშო პერიოდში, დისციპლინური საქმისწარმოების ყველა ეტაპზე საბჭო გადაწყვეტილებას, 2/3-ის ნაცვლად, წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით იღებდა.[131] **მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება 2/3-ით მიიღებოდეს და მხოლოდ მოსამართლე წევრების თანხმობა არ იყოს საკმარისი.**

სექტემბერში ინიციირებული ცვლილებებით[132], მმართველმა პარტიამ კანონში დააბრუნა დისციპლინური პასუხისმგებლობისდაკისრებისას გადაწყვეტილების 2/3-ით მხარდაჭერა, რაც საიას რეკომენდაციის სულისკვეთებასაც შეესაბამება.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის სამსახურში 230 საჩივარი შევიდა.[133]

დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატში შესული საჩივრების უმეტესობა შეეხება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევას. მათი 84,4% პირველი ინსტანციის მოსამართლეებს უკავშირდება, 50,25% კი სამოქალაქო საქმეებზე მოდის. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის საბჭომ მხოლოდ 1 სადისციპლინო სხდომა ჩაატარა.[134] სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა დამოუკიდებელი ინსპექტორის 68 დასკვნა და მიიღო 74 დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისა და 10 დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად საჩივრების სიმრავლისა, დისციპლინური მექანიზმი არ არის ეფექტიანი.[135] დისციპლინურ სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანია საჩივრის დადგენილ ვადაში განხილვა. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია საზოგადოების მოლოდინთან, მეორე მხრივ კი - თვით მოსამართლის ინტერესთან, საქმე დროულად დასრულდეს. ხოლო გაჭიანურებული სამართალწარმოება, შესაძლოა, ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტად იქცეს. **ამიტომ, მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოების განხილვისთვის დადგენილი ვადების დაცვა.**

5.4. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია.[136] ამის გათვალისწინებით, ინსპექტორის მიერ სტატისტიკის (საჩივრების რაოდენობა, გადაცდომის სახეები და სხვა) დროულად გამოქვეყნებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

---

[130] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021 წელი, გვ. 30, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QA5FwMf, განახლებულია: 23.01.2023.

[131] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^8-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[132] ცვლილებების ამ პაკეტს, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის 29 მაისის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი.

[133] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, ანგარიშები ხელმისაწვდომია: https://dis.court.ge/category/statistics/, განახლებულია: 25.05.2024.

[134] იქვე.

[135] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11.

[136] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75^4-ე მუხლი.

პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლითაც მოსამართლეს მიენიჭა უფლება, მოეთხოვა საბჭოს (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ სხდომების გასაჯაროება, რომლებზეც მისი საქმე განიხილებოდა, არავინ იყენებს. 2018 წლიდან (ცვლილების ამოქმედებიდან) დღემდე ამ შესაძლებლობით არავის უსარგებლია. არც საანგარიშო პერიოდში მოუთხოვია მოსამართლეს სხდომის გასაჯაროება.[137] მიუხედავად ამისა, კანონში ამ ჩანაწერის არსებობა პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ეს შეიძლება მნიშვნელოვანი ბერკეტი იყოს იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც, განსხვავებული შეხედულებების გამო, შესაძლოა, საბჭოს მხრიდან დასჯის ობიექტები აღმოჩნდნენ.

[137] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, ანგარიშები ხელმისაწვდომია: https://dis.court.ge/category/statistics/, განახლებულია: 25.05.2024.

6. გამჭვირვალობის პრობლემა საბჭოში

6.1. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება

გამჭვირვალობა სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. შესაბამისად, დაბალი ნდობის პირობებში, სასამართლოს საქმიანობაზე ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკა არსებითად ართულებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მუშაობას და ნეგატიურად აისახება საბჭოს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის ხარისხზე.

ეს გამოიხატება საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვადის დარღვევაში, ასევე, ცუდად ორგანიზებულ სხდომებში. ორი წელია, საბჭოს არცერთი სხდომის თაობაზე ცნობა არ გაუვრცელებია კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით - სხდომამდე სამი დღით ადრე.

პრობლემურია სხდომების გადადებაც. საბჭომ საანგარიშო პერიოდში 30 სხდომა ჩაატარა.[138] მათ შესახებ ინფორმაცია წინა დღეს იდებოდა საბჭოს ვებგვერდზე, რითაც რეგულარულად ირღვეოდა კანონმდებლობის მოთხოვნა სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის 3 სამუშაო დღით ადრე გამოქვეყნების თაობაზე.[139] სხდომების გადადების პრობლემა წინა წლებშიც არსებობდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში (განსაკუთრებით, პირველ ნახევარში) ამან ინტენსიური ხასიათი მიიღო. სისტემური გახდა სხდომების გადადება და საათის გადაწევა.[140] მაგალითად, 10 ივლისის სხდომა 17:00 საათზე დაინიშნა, თუმცა მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები მის დაწყებას 3 საათზე მეტხანს ელოდნენ. 3-საათიანი ლოდინის შემდეგ და იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს შენობაში მყოფ პირებს სხდომის გადადების ან ჩატარების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ, ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შენობა დატოვეს. მომდევნო დღეს ცნობილი გახდა, რომ სხდომა 21:00 საათის შემდეგ გაიმართა.

ხაზგასასმელია, რომ გადადების შესახებ ინფორმაცია საბჭოს ვებგვერდზე არ იდება და ახალი თარიღით მისი ჩანაცვლება ავტომატურად ხდება.

საია და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციები საბჭოს პერსონალთან კომუნიკაციით ცდილობენ სხდომის გადადების ან საათის გადაწევის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. თუმცა, უმეტესად, არც მათ იციან ამის თაობაზე. შესაბამისად, მონიტორებს, ხშირ შემთხვევაში, საათების განმავლობაში უწევთ ლოდინი საბჭოს შენობაში.[141] **მნიშვნელოვანია, საბჭომ კეთილსინდისიერად განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები, აღმოფხვრას სხდომების გადადების მანკიერი პრაქტიკა და ამის შესახებ ინფორმაცია გონივრული დროით ადრე გამოაქვეყნოს.**

დამატებით, პრობლემურია სხდომის შესახებ საჯაროდ გამოქვეყნებული დღის წესრიგის ზოგადი ხასიათი. საბჭომ შეცვალა ამ კუთხით დადგენილი პოზიტიური მიდგომა, რომელიც დღის წესრიგის საკითხების მცირე განმარტებითი ტექსტებით გა-

[138] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №57/4171-03-ო წერილი.

[139] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[140] 17 მაისს დანიშნული საბჭოს სხდომა გადაიდო 18 მაისს, მაგრამ არ ჩატარდა და კვლავ გადაიდო. 19 მაისის 2 საათზე დანიშნული სხდომის ჩატარების დრომ გადაიწია 17 საათისთვის. საბოლოოდ, სხდომა არ ჩატარდა. ასევე, 30 მაისს დანიშნული სხდომა გადაიდო 31 მაისს, შემდეგ 1-ელ ივნისს.

[141] მაგალითად, 30 ნოემბრის სხდომა, რომელიც 14:30 საათზე იყო დანიშნული, 19:30 საათზე, 5 საათის დაგვიანებით დაიწყო.

მოქვეყნებას გულისხმობდა[142] (იხ. სურათი 1). შესაბამისად, დღესდღეობით კვლავ პრობლემურია მათი ზოგადი სახით ფორმულირება, როგორიცაა, მაგალითად, „საორგანიზაციო საკითხები“, „მიმდინარე საკითხები“.[143] ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია განსახილველი საკითხის შინაარსის გამოცნობა. ბუნდოვანი ჩანაწერი და მრავალგზის გადადებული სხდომები საფუძვლიან ეჭვს აჩენს, რომ საბჭოს მნიშვნელოვან თემებზე მსჯელობა დახურულ კარს მიღმა ურჩევნია. მაგალითად, 14 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საორგანიზაციო საკითხები ორ თემას მოიცავდა. ერთი შეეხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის ნოემბერში 30%-იანი დანამატის გაცემას ყოველთვიურ დანამატთან ერთად, რასაც საბჭოს 14-მა წევრმა[144] ერთხმად დაუჭირა მხარი. მეორე საკითხად კი საბჭომ იმსჯელა საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის დაგეგმილ ტრენინგზე ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.[145]

ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვნად ართულებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მუშაობას და ნეგატიურად აისახება საბჭოს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის ხარისხზე. **საია მიიჩნევს, რომ საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო, უფრო მეტად ანგარიშვალდებული უნდა იყოს საზოგადოების წინაშე. მან კანონით დადგენილ ვადებში, წინასწარ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია როგორც სხდომის, ისე განსახილველი საკითხების შესახებ.**

საიამ არაერთხელ მიმართა საბჭოს, საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, სხდომების პირდაპირ რეჟიმში გადაცემა უზრუნველეყო.[146] ამით, რეალურ დროში, ფიზიკურად მისვლის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი განსახილველი საკითხების მონიტორინგი, თუმცა, წლებია, ეს რეკომენდაცია შეუსრულებელი რჩება. **მნიშვნელოვანია, საბჭოს, როგორც სასამართლო სისტემის ადმინისტრირების მთავარი ორგანოს სხდომები პირდაპირი ჩართვის რეჟიმში გადაიცემოდეს, რაც ნებისმიერ პირს მისცემს შესაძლებლობას, მათ მიმდინარეობას თვალი ადევნოს.**

[142] 2018-იდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამოქვეყნებულ დღის წესრიგში მიუთითებდა მოკლე ინფორმაციას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
[143] 2022 წლის 30 ნოემბრის საბჭოს სხდომის ოქმი.
[144] სხდომას საბჭოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე არ ესწრებოდა.
[145] იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 ნოემბრის სხდომა.
[146] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 8 აპრილის №g-04/51-20 წერილი.



Not secure hcoj.gov.ge/ka/საქართველოს-იუსტიციის-უმაღლესი-საბჭოს-სხ153.html

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი 17:00, 21 ივლისი, 2023

ჩამოტვირთვა

1. იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული საკითხი

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

2. ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

3. განკარგულების პროექტი - „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 16 იანვრის 1/3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

4. საორგანიზაციო საკითხები

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

სურათი 1. ცხრილში ნაჩვენებია, რომ საკითხები დღის წესრიგში ზოგადი ფორმულირებითაა შეტანილი.

6.2. სხდომების მომზადება

პრობლემად რჩება საბჭოს სხდომების ჯეროვანი მომზადება. არასწორ მენეჯმენტზე მიუთითებს ასევე განსახილველი საკითხების მუდმივად გადადება. მაგალითად, ყველა დღის წესრიგი მოიცავს ჩანაწერებს - „ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სააპელაციო სასამართლოში პალატების/კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ და „საორგანიზაციო საკითხები“. ისინი, უმეტესად, დღის წესრიგიდან იხსნება, თუმცა საბჭოს მდივანი მათი გადადების მიზეზს არ ასაბუთებს.

რეგლამენტის თანახმად, სხდომებს ამზადებს და წევრებისთვის მასალების დროულ მიწოდებას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი, თუმცა არაფერია ნათქვამი, ვინ ადგენს და ამტკიცებს დღის წესრიგს.[147] ასევე, მდივანი აგზავნის საბჭოს დოკუმენტაციას დანიშნულებისამებრ,[148] მაგრამ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალების დარიგების ვადა განსაზღვრული არ არის. პრობლემას ქმნის ისიც, რომ საბჭოში შესული დოკუმენტები წევრებს ავტომატურად არ ეგზავნებათ. ეს მათ ხელს უშლის, საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვონ ამა თუ იმ საკითხის დღის წესრიგში შეტანა. გასულ წლებში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც არამოსამართლე წევრებმა საკითხის განხილვა გააპროტესტეს იმის გამო, რომ ამის შესახებ ინფორმაცია შიდა ქსელში სხდომის დღეს ან არასამუშაო დღეებში აიტვირთა, შესაბამისად, მათ ვერ შეძლეს დოკუმენტაციის ჯეროვნად შესწავლა. საანგარიშო

[147] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[148] იქვე, „ზ“ ქვეპუნქტი.

პერიოდში მსგავსი პროტესტი არავის გამოუთქვამს. სხდომაზე დებატები თითქმის არ არის. მომხსენებელი წარმოადგენს საკითხს და საბჭოს წევრები მას ერთხმად უჭერენ მხარს.

ამ გამოწვევების დასაძლევად, აუცილებელია, საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული იყოს წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის წესი; დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი; საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება. მართალია, პროცედურების არქონა საბჭოს მთავარი გამოწვევა არ არის, თუმცა, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობა არ ახალისებდეს ანგარიშვალდებულების არარსებობას კოლეგიურ ორგანოში.

6.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხდომების მართვა

საბჭოს სხდომას უძღვება თავმჯდომარე ან მდივანი,[149] თუმცა დღემდე არ არის მოწესრიგებული სხდომის წარმართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურა. მოსაზრების გამოსათქმელად საბჭოს წევრი ვალდებულია, ანიშნოს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც გამომსვლელთა რიგითობას ადგენს. რეგლამენტში არ წერია, რა დრო ეთმობა საბჭოს თითოეულ წევრს პოზიციის გამოსახატად, რამდენჯერ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე გამოსვლა და დამატებით რამდენი წუთი უნდა მიეცეს წევრს განცხადებისთვის. თუმცა, სხდომებზე დაკვირვების შედეგად, ირკვევა, რომ არსებული შემადგენლობის პირობებში განსახილველ საკითხებზე დისკუსია იშვიათად იმართება. საბჭოს წევრები აზრის გამოხატვისგანაც კი თავს იკავებენ. დისკუსიის არარსებობა ხელს არ უწყობს ეფექტიანი და საქმიანი მსჯელობის წარმართვას. **აუცილებელია, დეტალურად მოწესრიგდეს საბჭოს წევრების მიერ საკითხზე აზრის გამოთქმის პროცედურა.**

რეგლამენტით, ასევე სათანადოდ არ არის დარეგულირებული გარეშე პირთა მოწვევისა და სხდომაზე დამსწრეთა გამოსვლის შესაძლებლობა.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ერთ-ერთი ბოლო მოსაზრებით, საბჭოების ლეგიტიმურობას საფუძვლად უდევს კანონმდებლობა, თუმცა იგი აუცილებლად უნდა გამყარდეს საზოგადოების ნდობით.[150] ნდობა კი უნდა მოიპოვებოდეს გამჭვირვალობით, ანგარიშვალდებულებით და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე საქმიანობით.[151] მართლმსაჯულების ყველა საბჭო ვალდებულია, იყოს ანგარიშვალდებული, იმუშაოს გამჭვირვალედ, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებები და პროცედურები.[152]

6.4. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

გამჭვირვალობის კიდევ ერთი კომპონენტია საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა. საბჭოს რეგლამენტის მიხედვით, ოქმი უნდა ასახავდეს: სხდომის მოწვევის ინიციატორის ვინაობას, მოწვევის თარიღს, დაწყების დროსა და ხანგრძლივობას, მონაწილეებისა და თავმჯდომარის ვინაობას, მომხ-

[149] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-16 პუნქტი.
[150] CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES (CCJE), Strasbourg, 5 November 2021, CCJE (2021)11 IV. Conclusions and recommendations, para. 4
[151] იქვე.
[152] იქვე, para. 7.

სენებლისა და კამათში მონაწილეთა გამოსვლების შინაარსს, გამოთქმულ არგუმენტებს, მიღებულ გადაწყვეტილებას, ასევე, ვინ რას მისცა ხმა.[153]

ოქმების საწარმოებლად 2018 წლიდან გამოიყენება სპეციალური აუდიოსისტემა, თუმცა აუდიოოქმები სხდომის დარბაზში არსებულ რეალობას სრულფასოვნად ვერ ასახავს. ისინი ცუდი ხარისხით ქვეყნდება და, ზოგიერთ შემთხვევაში, არ არის ნათელი, რა თემებზე იმსჯელეს საბჭოს წევრებმა. გარდა ამისა, ზოგჯერ ოქმი არ მოიცავს ყველა საკითხს, რომლებიც სხდომაზე განიხილეს. საანგარიშო პერიოდში საგანგაშო იყო ის ფაქტი, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არცერთი სხდომის ოქმი საჯაროდ არ გამოუქვეყნებია, მაშინ, როცა ამის ვალდებულება მას პროაქტიულადაც აქვს.[154] უფრო მეტიც, საბჭომ უგულებელყო საიას წერილობითი მიმართვა და არ მიაწოდა შესაბამისი დოკუმენტები, მიუხედავად იმისა, რომ, კანონის შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველზე, მან დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირისთვის სხდომის აუდიოჩანაწერის ხელმისაწვდომობა.[155]

კანონით გათვალისწინებულია გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი, რომლებიც ვებგვერდზე უნდა განთავსდეს.[156] რეგლამენტის შესაბამისად, ისინი ოფიციალურ ვებგვერდზე უნდა აიტვირთოს მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო კონსოლიდირებული ვერსიები - ცვლილებიდან არაუგვიანეს 14 დღეში.[157] თუმცა, ეს ვადები მუდმივად ირღვევა. 2023 წლის 2 ივნისის შემდეგ კი საბჭოს ვებგვერდზე გადაწყვეტილებები არ განუახლებია (იხ. სურათი 2).



სურათი 2. ცხრილში ნაჩვენებია, რომ გადაწყვეტილებები 2 ივნისის შემდეგ ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა.

მნიშვნელოვანია, საბჭომ უზრუნველყოს სხდომის ოქმების ხარისხიანი ჩაწერა და გადაწყვეტილებებისა და ოქმების ვებგვერდზე გამოქვეყნება დადგენილ ვადებში.

[153] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი.
[154] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[155] იქვე.
[156] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[157] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლი.

ხაზგასასმელია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში ინფორმაციის საჯაროობის კუთხით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად დახურულ უწყებად გადაიქცა.

საიამ საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2023 წლის 11 ივლისს მიმართა იუსტიციის უმაღლეს სკოლას, ხოლო 2023 წლის 9 აგვისტოს და 2024 წლის იანვარში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 8 წერილი გაუგზავნა. დღემდე ამ უწყებებიდან ორგანიზაციას პასუხები არ მიუღია. ხაზგასასმელია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციების უმეტესი ნაწილი იუსტიციის უმაღლეს სკოლას და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ვებგვერდებზე პროაქტიულად უნდა გამოექვეყნებინათ.

შედეგად, ხელი ეშლება სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობას. ამასთანავე, ეს არის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლების დარღვევა, რითაც, ფაქტობრივად, საზოგადოებას ერთმევა შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სასამართლოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. საიამ 2023 წლის 14 დეკემბერს ამ უწყებების წინააღმდეგ, მოთხოვნილი მასალების გაუცემლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელები წარადგინა, თუმცა საანგარიშო პერიოდში პროცესები არ ჩანიშნულა.

რეკომენდაციები

ანგარიშის გაცნობისას ობიექტური დამკვირვებლისთვის ნათელი ხდება ის გამოწვევები, რომლებიც სისტემაში არსებობს, ასევე, ის მავნე პრაქტიკა, რომელსაც იუსტიციის საბჭო მმართველი პარტიის ხელშეწყობით ახორციელებს.

ევროპულმა კომისიამ სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (შემდგომში - ვენეციის კომისია) ბოლო დასკვნაში საბჭოს წევრების კეთილსინდისიერების შემოწმების დროებით მექანიზმზე ისაუბრა.[158] ევროკომისია კიდევ უფრო შორს წავიდა და საბჭოს, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სისტემაში წამყვან თანამდებობაზე მყოფი პირების კეთილსინდისიერების სავალდებულო შემოწმების რეკომენდაცია გასცა.

თუ იმ ნაბიჯებით ვიმსჯელებთ, რომლებსაც მმართველი პარტია ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების მიზნით დგამდა, ნათელია, რომ მას სისტემის ძირეული რეფორმირების სურვილი არ აქვს. თუმცა, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ მოლაპარაკებების გახსნა სწორედ ამ რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებას მოითხოვს.[159] ხელისუფლება უგულებელყოფს სისტემაში გავლენიანი ჯგუფის არსებობას და კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმს ქვეყნის სუვერენიტეტში ჩარევად აფასებს.

1. **ამ ფონზე, უმნიშვნელოვანესია სისტემაში არსებული გამოწვევების შეფასება. ფუნდამენტურად უნდა გაანალიზდეს საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები, არაფორმალური გავლენები, კორუფციის რისკები. შესაბამისი დასკვნის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევების გათვალისწინებით, რელევანტური აქტორების ფართო ჩართულობით უნდა შემუშავდეს მართლმსაჯულების სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.**
2. **რეფორმის გატარებისას მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს იუსტიციის საბჭოს, როგორც სისტემის მაკონტროლებელ ორგანოს. მნიშვნელოვანია, დისკუსია გაიმართოს მისი ძალაუფლების დეკონცენტრაციაზე - რა ფუნქციები დარჩება საბჭოში და რისი გადანაწილება შეიძლება, რათა ერთი ორგანოს ხელში ძალაუფლების თავმოყრამ მომავალშიც არ წარმოშვას კორპორატივიზმის საფრთხეები.**
3. **იუსტიციის საბჭოში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილები უნდა მიიღებოდეს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ორმაგი 2/3-ის მხარდაჭერით.[160]**
4. **თავიდან უნდა იყოს არიდებული სისტემაში მნიშვნელოვანი თანამდებობების დაკავება მუდმივად ერთი და იმავე პირების მიერ. საჭიროა, სასამართლოს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეებს იმავდროულად საბჭოს წევრობის უფლება შეეზღუდოთ. ასევე, არ უნდა იყოს დაშვებული საბჭოს წე-**

[158] Venice Commission, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, CDL-AD(2023)006-e, 11 March 2023, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/x4xO9NR, განახლებულია: 27.11.2023.

[159] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fqtFO, განახლებულია: 13.04.2024.

[160] ვენეციის კომისია მხარს უჭერს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების წესის შეცვლას, რაც არამოსამართლე წევრების მეტ ჩართულობას გულისხმობს. იხ. Venice Commission, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, CDL-AD(2023)006-e, 11 March 2023, para. 17.

ვრად ზედიზედ ორჯერ ერთი და იმავე მოსამართლის არჩევა.[161] გარდა ამისა, არსებითია სასამართლოების თავმჯდომარეთა ფართო უფლებამოსილებების გადახედვა და მათი არჩევა შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეების მიერ.

5. აუცილებელია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესის რეფორმის მიმართულებით. დღესდღეობით, ამ მექანიზმმა სადამსჯელო ხასიათი მიიღო და მთლიანად საბჭოს ხელში მოექცა. იმის გათვალისწინებით, რომ სისტემაში მოსამართლეების ნაკლებობა და საქმეების სიმრავლეა, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად, ყველა მოსამართლე იყოს დისციპლინირების საფრთხის ქვეშ. ეს ბერკეტი საბჭოს ძალაუფლების მნიშვნელოვანი დასაყრდენია. ამრიგად, გასაძლიერებელია დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური და ფუნქციური უფლებამოსილება. მაგალითად, საჭიროა: ინსპექტორის დანიშვნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3-ის განსაზღვრა; დისციპლინური დევნის დაწყებაზე უარის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება.

6. ასევე, რეფორმას საჭიროებს საბჭოს მიერ გადაყვანა-დაწინაურების მანკიერი წესი და პრაქტიკა, რომლებიც საბჭოს ფართო შესაძლებლობას აძლევს, მოსამართლეები ლოიალობის ნიშნით დააწინაუროს. გარდა ამისა, ხაზგასასმელია ის ცვლილებები, რომლებმაც მოსამართლეების მივლინების წესი მთლიანად იუსტიციის საბჭოს შეხედულებისამებრ მოაწესრიგა. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობაში ჩაიდოს ინდივიდუალურ მოსამართლეთა დაცვის უფრო მყარი გარანტიები, მაგალითად, მივლინების წესი 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებამდე რეგულირებას დაუბრუნდეს.

7. იმისთვის, რომ კვალიფიციურ კადრებს სისტემაში შესვლის სურვილი და შესაძლებლობა მიეცეთ, გადასახედია შერჩევა-დანიშვნის მთლიანი სისტემა, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო როლი. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში კანონში პოზიტიური ცვლილებები შევიდა, ვერ მოხერხდა მოსამართლეების შერჩევა კეთილსინდისიერების და კვალიფიკაციის ნიშნით. ამაზე მიუთითებს საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსების მიმართ, ვაკანსიების დიდი რაოდენობის მიუხედავად, მსურველთა არასაკმარისი დაინტერესება და სიმცირე. მნიშვნელოვანია, შეიზღუდოს იუსტიციის საბჭოს როლი როგორც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცესში, ისე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისას.

8. მნიშვნელოვანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვა, რათა საზოგადოებამ დროულად შეიტყოს სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე. ამ მიმართულებით მდგომარეობა საგანგაშოა. იუსტიციის საბჭომ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები - კანონმდებლობის დაცვით გასცეს საჯარო ინფორმაცია, უზრუნველყოს სხდომების შესახებ ცნობისა და დღის წესრიგის წინასწარ, დადგენილ ვადებში გამოქვეყნება.

[161] მართლმსაჯულების რეფორმა, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის ხედვა, 2023 წლის 9 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://coalition.ge/index.php?article_id=297&clang=0, განახლებულია: 27.03.2024.